

၉၈၈၅၅၅



ტრეისი შევალე  
გოგონა  
მარგალიტის  
საყურით

ტრეისი შევალე  
გოგონა მარგალიტის საყურით

Tracy Chevalier  
GIRL WITH A PEARL EARRING

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

გარეკანზე: იოჰანეს ვერმეერის „გოგონა მარგალიტის საყურით“ (ფრაგმენტი)

© Tracy Chevalier, 1999  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015, 2024  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-890-6

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ედვინება მამარჯემს



I664



დედაჩემს არ გავუფრთხილებივარ, რომ ისინი უნდა მოსულიყვნენ. მოგვიანებით მითხრა, არ მინდოდა, აფორიაქება დაგტყობოდაო. გამიკვირდა. მეგონა, უკეთ მიცნობდა. ვფიქრობ, უცნობ ადამიანებს ჩემს მღელვარებას არასოდეს ვაგრძნობინებ. ბავშვი როდი ვარ, რომ ცრემლები ვაფრქვიო. მხოლოდ დედაჩემი ამჩნევს ხოლმე, როგორ მეძაბება სახე და მიფართოვდება ისედაც დიდრონი თვალები.

სამზარეულოს მაგიდაზე ბოსტნეულს ვჭრიდი, როდესაც ჩვენს კართან ხმები მომესმა. ქალის ხმა ლაპლაპა თითბერს მოგაგონებდათ, მამაკაცისა კი ბოხი და ისეთივე მუქი იყო, როგორც ჩვენი სამზარეულოს ხის მაგიდა. ამგვარი ხმებით, რომლებიც ჩვენს სახლში იშვიათად გაისმოდა, მდიდრული ხალიჩების, ნიგნების, მარგალიტებისა და ბენვეულის მფლობელნი ლაპარაკობენ. კიდევ კარგი, რომ დილას საგულდაგულოდ გავხეხე კიბის საფეხურები. წინა ოთახიდან სულ უფრო ახლოს მესმოდა დედაჩემის ხმა, რომლის გაგონებისას ქვაბები და ტაფები წარმომიდგებოდა ხოლმე. სტუმრები სამზარეულოში შემოვიდნენ. დაჭრილი პრასი გვერდზე გავწიე, დანა მაგიდაზე დავდე, ხელები წინსაფარზე შევიწმინდე და ტურჩები მოვიკენიტე, უფრო გლუვი რომ გამეხადა.

კარში დედაჩემი გამოჩნდა და თვალით მანიშნა, გაფრთხილდიო. მას შემოჰყვავ ქალი, რომელიც იძულებული იყო, თავი დაეხარა, რადგან ძალიან მაღალი იყო – უფრო მაღალი, ვიდრე მის უკან მომავალი მამაკაცი.

ჩვენს ოჯახში ყველა ტანმორჩილი იყო, თვით მამაჩემი და ჩემი ძმაც კი.

ქალი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ქუჩაში ძლიერი ქარი ქროდა, თუმცა სინამდვილეში წყნარი ამინდი იდგა. ქუდი გვერდზე მოქცეოდა, შუბლზე კი თხელი ქერა კულულები ჩამოსწვნიდა, რომლებიც რამდენჯერმე ხელით გადაინია, ისე, თითქოს ფუტკრებს იშორებსო. საყელოც მობრეცოდა და დასჭმუჭნოდა. როდესაც რუხი მოსასხამი მოიხსნა, მუქი ლურჯი კაბის ქვეშ გამობერილი მუცელი შევამჩნიე. ალბათ, მალე – წლის ბოლომდე ან კიდევ უფრო ადრე – უნდა ემშობიარა.

სახე ოვალურ თევზს მიუგავდა და ხან უელვარებდა, ხან კი – უმქრქალდებოდა. თვალები ორი ყავისფერი ღილივით უბრწყინავდა. ასეთი ფერის თვალები ქერათმიან ქალებს იშვიათად აქვთ ხოლმე. ყურადღებით მაკვირდებოდა, მაგრამ დროდადრო თვალს მაცილებდა და ოთახს ათვალეირებდა.

– მაშასადამე, ეს ის გოგონაა, – თქვა მან უეცრად.

– ჩემი ქალიშვილია, გრიტი, – მიუგო დედაჩემმა. ორივე სტუმარს მოწინებით დაუყკარი თავი.

– გასაგებია. მაღალი არაა. მძიმე სამუშაოს თავს გაართმევს?

როდესაც ქალი მამაკაცისკენ მიტრიალდა, მისი მოსასხამის კალთა ჩემი დანის ტარს წამოედო. დანა მაგიდიდან გადმოვარდა და იატაკზე დაბზრიალდა.

ქალმა წამოიკვილა.

– კატარინა! – მშვიდად მიმართა მამაკაცმა. ამ სახელის წარმოთქმისას თითქოს დარიჩინის სურნელი ამოისუნთქა. ქალი შეკრთა და შეეცადა, დაწყნარებულიყო.

დანა ავიღე, წინსაფრის კალთით გავწმინდე და მაგიდაზე დავდე. დანა ბოსტნეულს წამოედო. სტაფილოს ნაჭერი თავის ადგილას დავაბრუნე.

მამაკაცი ნაცრისფერი თვალებით შემომცქეროდა. გამხდარი, მოგრძო სახე ჰქონდა. მშვიდად იმზირებოდა, განსხვავებით ცოლისგან, რომელსაც გამომეტყველება წამდაუნუმ ეცვლებოდა. მამაკაცი უწვერულვამო იყო, რაც მომეწონა – სისუფთავის შთაბეჭდილებას ტოვებდა. შავი მოსასხამიდან თეთრი პერანგი და მამამისის საყელო მოუჩანდა. სველი აგურის ფერის თმაზე ქუდი ეხურა.

– აქ რას აკეთებდი, გრიტ? – მკითხა მან. ამ კითხვამ გამაკვირვა, მაგრამ არ შევიმჩნიე.

– ბოსტნეულს ვჭრიდი, ბატონო. წვნიანისთვის.

დაჭრილ ბოსტნეულს ყოველთვის ცალ-ცალკე, ფენებად ვაწყობდი ხოლმე, ღვეზელის გულსართივით. იმ დღეს ხუთი სახის ბოსტნეული მენყო: წითელი კომბოსტო, ხახვი, ნიახური, სტაფილო და თაღამი. ყოველი ფენის ნაპირები დანით შევასწორე და ცენტრში სტაფილოს ნაჭერი დავდე.

მამაკაცმა მაგიდაზე თითოთ დააკაკუნა.

– ასეთივე თანმიმდევრობით აწყობ წვნიანში? – მკითხა მან. თან ფენებს აკვირდებოდა.

– არა, ბატონო, – შევყოყმანდი მე. არ ვიცოდი, რატომ ვაწყობდი ბოსტნეულს ამგვარად. უბრალოდ, ვიცოდი, რომ ასე უნდა დამენყო, მაგრამ ვერ გავბედე, ეს მეტქვა ამ ბატონისთვის.

– ვხედავ, რომ თეთრი ბოსტნეული ცალკე დაგიწყვია, – მითხრა მან და თაღამისა და ხახვზე მიმითითა, – ნარინჯისფერი და წითელი ბოსტნეული კი ერთმანეთისგან გაგიცალკევებია. რატომ?

მან სტაფილოს და კომბოსტოს ნაჭრები კამათელივით აათამაშა ხელში.

დედაჩემმა ოდნავ შესამჩნევად დამიქნია თავი.

– ეს ორი ფერი ერთმანეთს არ უხდება, ბატონო.

მამაკაცმა წარბები ასწია, თითქოს ასეთ პასუხს არ ელოდაო.

– ბევრ დროს ანდომებ ბოსტნეულის დაწყობას, სანამ წვნიანს მოამზადებ?

– არა, ბატონო, – ვუპასუხე დარცხვენით. არ მინდოდა ეფიქრა, ფუქსავატი გოგო ყოფილაო.

ოთახში რაღაც მოძრაობა შევნიშნე. კარში ჩემმა დამ, აგნესმა შემოიხედა და ჩემი სიტყვების გაგონებისას თავი გადააქნია. იცოდა, რომ იშვიათად ვცრუობდი. თვალეები დავხარე.

მამაკაცმა თავი მიაბრუნა და აგნესი მაშინვე გაუჩინარდა. მამაკაცმა სტაფილოსა და კომბოსტოს ნაჭრები კვლავ მაგიდაზე დააწყო. კომბოსტოს ნაჭერი ალყა-ალყად დაჭრილ ხახვის რგო-

ლებს შეერია. მინდოდა თავის ადგილას დამედო. თავი შევიკავე, მაგრამ მამაკაცი სურვილს მიმიხვდა. მცდიდა.

– გეყოთ ყბედობა, – გამოაცხადა ქალმა. გალიზიანებული გახლდათ იმის გამო, რომ მამაკაცმა ამდენი ყურადღება დამითმო, მაგრამ შუბლშექმუხნული მაინც მე მიყურებდა. – მუშაობას ხვალთან დაიწყებ, ხომ?

მან მამაკაცს გადახედა და სამზარეულო დატოვა. დედაჩემიც გავიდა. მამაკაცმა კიდევ ერთხელ გადახედა იმას, რისგანაც წვნიანი უნდა მომეხარშა, შემდეგ თავი დამიკრა და ქალებს გაჰყვა.

როდესაც დედაჩემი დაბრუნდა, მრგვლად დანყობილ ბოსტნეულთან ვიჯექი. ვუცდიდი, რას მეტყოდა დედა, რომელიც ისე იბუზებოდა, თითქოს ზამთარი იყო და ყინავდა, თუმცა, ზაფხული იდგა და სამზარეულოში თბილოდა.

– ხვალთან მათ დაუდგები შინამოსამსახურედ. თუ ბეჯითად იმუშავებ, დღეში რვა სტუივერს გადაგიხდიან. მათ სახლში იცხოვრებ.

ავიმრიზე.

– აგრე ნუ მიყურებ, გრიტ, – მითხრა დედამ, – სხვა გზა არა გვაქვს. მამაშენი უმუშევარია.

– სად ცხოვრობენ?

– აუდე ლანგენდეიკზე, იქ, სადაც მას მოლენპურტი კვეთს.

– პაპისტთა უბანში? კათოლიკეები არიან?

– კვირადღეებში შინ გამოგიშვებენ. ამაზე უკვე შევთანხმდით.

დედამ ერთი მუჭა თაღგამი აიღო, ცოტაოდენი კომბოსტო და ხახვიც დაამატა და ცეცხლზე შემომდგარ წყლიან ქვაბში ჩაყარა. ჩემ მიერ მონდომებით დანყობილი ფენები ერთმანეთში აირია.

\*\*\*

კიბე ავიარე და მამაჩემს მივაკითხე. სხვენზე, ფანჯარასთან იჯდა. მზის სხივები სახეზე ელამუნებოდა. ახლა უკვე მხოლოდ მზის სხივებს არჩევდა.

უნინ მამაჩემი შორენკეცებს ხატავდა. თითებში ლურჯი საღებავი ისე ღრმად ჰქონდა ჩამჯდარი, რომ ველარ იცილებდა. თეთრ ფილებზე ხატავდა ლურჯ კუპიდონებს, ჯარისკაცებს, ხომალდებს, ბავშვებს, თევზებსა და ცხოველებს, შემდეგ ფილების მოჭიქვისა და გამონვის დრო დგებოდა, ბოლოს კი ყიდდა მათ. მაგრამ ერთხელ გამოსანჯავი ლუმელი აუფეთქდა. შედეგად მამამ მხედველობაც დაკარგა და საარსებო წყაროც. საერთოდ კი იღბალი ჰქონია – აფეთქებას ორი ადამიანი ემსხვერპლა.

მამას მიუფუჯექი და ხელზე ხელი მოვკიდე.

– ვიცი, – მითხრა მან, სანამ რაიმეს ვიტყოდი. – ყველაფერი გავიგონე.

თვალისჩინის დაკარგვის შემდეგ სმენა გაუმძაფრდა. ვერაფერი ვუთხარი ისეთი, რომ ჩემს სიტყვებში საყვედური არ გაჟღერებულიყო.

– მაპატიე, გრიტ. ვიფიქრე, რომ შენთვის ასე აჯობებდა, – თვალის უბეებში, სადაც ექიმმა ქუთუთოები ერთმანეთს მიაკერა, სევდა ჩასდგომოდა. – ის კეთილი კაცია. და თავაზიანი. კარგად მოგექცევა.

ქალის შესახებ არაფერი უთქვამს.

– საიდან იცი, მამა? იცნობ?

– განა შენ ვერ იცანი?

– ვერა.

– გახსოვს, რამდენიმე წლის წინ რატუმაში სურათი რომ ვნახეთ? ვან რეივენმა შეიძინა და გამოფინა. დელფტის ხედი იყო, როტერდამისა და სქიდამის მხრიდან დანახული. სურათის უმეტესი ნაწილი უზარმაზარ ცას ეკავა, ზოგიერთ სახლზე კი მზის ათინათები ბრჭყვიალებდნენ.

– აგურები და სახურავები ქვიშანარევი საღებავებით იყო დახატული, მათი უსწორმასწორო ზედაპირის გადმოსაცემად, – დავამატე მე. – წყალს მოგრძო ჩრდილები ეფინა. ნაპირზე კი რამდენიმე პანანინა კაცუნა იდგა.

– სწორია.

მამაჩემს ნაოჭები ისე ჩაულრმავდა, თითქოს თვალები ჯერ კიდევ ჰქონდა და კვლავ უყურებდა სურათს.

ეს სურათი კარგად მახსოვდა. ისიც მახსოვდა, რომ გავიფიქრე, ამ ადგილას რამდენჯერ ვმდგარვარ და არასოდეს მინახავს დელფტი ისეთი, როგორიც მხატვარმა იხილა-მეთქი.

– ეს კაცი ვან რეივენის იყო?

– შენი ბატონი? – ჩაიცინა მამამ. – არა, შვილო. ის მხატვარია, ვერმეერი. ჩვენი დღევანდელი სტუმრები იოჰანეს ვერმეერი და მისი ცოლი იყვნენ. ვერმეერის სახელოსნო უნდა დააღაგო ხოლმე.

\*\*\*

ჩემ მიერ ნასალებად შერჩეულ რამდენიმე ნივთს დედამ კიდევ ერთი კაპორი, საყელო და წინსაფარი დაამატა, რათა ერთის გარეცხვის შემთხვევაში მეორე მეტარებინა და ყოველთვის კოპნიად ვყოფილიყავი გამონწყობილი. გარდა ამისა, გამატანა ჯერ კიდევ ბებიაჩემის ნაქონი, კუს ბაკნისგან დამზადებული ნიჟარის ფორმის დეკორატიული სავარცხელი, რომლის ტარება შინამოსამსახურეს არ შეჰფეროდა, აგრეთვე – ლოცვანი, რათა კათოლიციზმის ზეგავლენისგან დაცული ვყოფილიყავი.

როდესაც ბარგი შევკარით, დედამ ამიხსნა, როგორ დამიქირავეს ვერმეერებმა.

– ხომ იცი, შენი ახალი ბატონი წმინდა ლუკას გილდიის უფროსია და ეს თანამდებობა ეკავა, როდესაც მამაშენს ის უბედურება შემთხვა.

თავი დავუქნიე, გაოგნებულმა იმით, რომ ასეთი ცნობილი მხატვრის სახლში მოვხვდებოდი.

– გილდია შეძლებისდაგვარად ზრუნავს თავის წევრებზე. გახსოვს, ჩვენთან წლების განმავლობაში ყოველ კვირას მოჰქონდათ ყუთი, რომელშიც მამაშენი ფულს ყრიდა? ეს ფული ჩვენნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს ხმარდება ხოლმე. მაგრამ ეს თანხა საარსებოდ საკმარისი არ არის, მით უმეტეს ახლა, როდესაც ფრანსი

ჯერჯერობით მხოლოდ შეგირდია და ხელფასს არ იღებს. გამოსავალი არა გვაქვს. ქველმოქმედებაზე არ ვთანხმდებით, ჯერჯერობით თავს უამისოდაც გავიტანთ. მამაშენმა შეიტყო, რომ შენს ახალ ბატონს სჭირდება შინამოსამსახურე, რომელიც სახელოსნოს დაულაგებს ისე, რომ არაფერს გადაადგილებს, და შესთავაზა, შენ დაექირავებინე. ფიქრობდა, რომ ვერმეერი, როგორც გილდიის უფროსი, ჩვენს მდგომარეობას გაითვალისწინებდა და დაგვეხმარებოდა.

დედაჩემის ნათქვამიდან მხოლოდ ერთმა რალაცამ დამაფიქრა:

– როგორ უნდა დავალაგო ოთახი ისე, რომ არაფერი გადავადგილო?

– რა თქმა უნდა, ნივთების გადაადგილება მოგიწევს, მაგრამ უნდა მოიფიქრო, როგორ დააწყო ისინი ზუსტად იმავე ალაგას ისე, თითქოს ხელი არაფრისთვის გეხლოს. ისევე, როგორც მამაშენის ოთახს ალაგებ ახლა, როდესაც ის ვერაფერს ხედავს..

მამაჩემის დაბრმავების შემდეგ მის ნივთებს ერთსა და იმავე ადგილას ვდებდით, ადვილად რომ ეპოვა ისინი. მაგრამ ერთია უსინათლო ადამიანის ოთახის დალაგება და სრულიად სხვა – იმ ადამიანის სახელოსნოსი, რომელსაც მხატვრის მახვილი თვალი აქვს.

\*\*\*

ვერმეერების ნასვლის შემდეგ აგნესი არ დამლაპარაკებია. მამაშენაც დუმდა, როდესაც დასაძინებლად დავწექით, თუმცა ჩემთვის ზურგი არ შეუქცევია. იწვა და ჭერს მიშტერებოდა. როდესაც სანთელი ჩავაქრე, წყვილიაღში მას ველარ ვხედავდი. აგნესისკენ მივტრიალდი:

– შინიდან ნასვლა სულაც არ მინდა. მაგრამ იძულებული ვარ. სიჩუმე.

– ფული გვჭირდება. მამას ხომ მუშაობა აღარ შეუძლია.

– დღეში რვა სტუივერი რა ბედენაა.

ხმაში ხრინნი შეჰპაროდა, თითქოს მის ყელში ობობას გაება ქსელი.

– პურის ფულად ხომ გეყოფათ. და თითო ნაჭერ ყველსაც მიაყოლებთ. არც ისე მცირე თანხაა.

– სულ მარტო დავრჩები. ჯერ ფრანსი წავიდა, ახლა შენ გვტოვებ.

გასულ წელს, როდესაც ფრანსი შინიდან წავიდა, აგნესი კიდეც უფრო მეტად დაღონდა. და-ძმა განუწყვეტლივ კინკლაობდა, მაგრამ ფრანსის წასვლის შემდეგ აგნესს დიდხანს ეტყობოდა უგუნებობა. ათი წლისა გახლდათ – ჩვენ შორის ყველაზე უმცროსი იყო – და მიეჩვია, რომ სამივენი ერთად ვიზრდებოდით.

– დედა და მამა ხომ აქ რჩებიან. კვირა დღეებში მეც მოვალ ხოლმე. გარდა ამისა, ფრანსის წასვლაც არ იყო მოულოდნელი.

წინასწარ ვიცოდით, რომ ცამეტი წლის შესრულებისთანავე ფრანსს ფაბრიკაში უნდა დაეწყო მუშაობა. მამა დიდი ხნის განმავლობაში აგროვებდა ფულს, რომ ფრანსის შეგირდობის საფასური გადაეხადა. განუწყვეტლივ გვიჩიჩინებდა, რომ ფრანსი ხელობას დაეუფლებოდა, შინ დაბრუნდებოდა და ისინი ერთად გახსნიდნენ შორენკეცების ფაბრიკას.

ახლა მამა ფანჯარასთან იჯდა ხოლმე და არასოდეს ლაპარაკობდა მომავლზე. უბედური შემთხვევის შემდეგ ფრანსი შინ მხოლოდ ორი დღით მოვიდა. და მეტად აღარ გამოჩენილა. ბოლოს მაშინ ვნახე, როდესაც თვითონ მივედი ფაბრიკაში, ქალაქის მეორე ბოლოში. დაღლილი სახე ჰქონდა. თანაც, თურმე ღუმლიდან გამომწვარი ფილების გამოტანისას ხელები ეთუთქებოდა. მითხრა, გათენებიდან გვიან საღამომდე ვმუშაობ და ზოგჯერ ისე ვიღლები, მადაც კი მეკარგებაო. „მამას არასოდეს უთქვამს ჩემთვის, რომ ამდენი უნდა მემუშავა, – ნაიბურტყუნა გაბრაზებულმა. – მხოლოდ იმას მიყვებოდა, რამდენი რამ შეისწავლა შეგირდობის დროს.

– ალბათ, ასეც იყო, – მივუგე მე, – შეგირდობის დროს სრულყოფილად დაეუფლა თავის ხელობას.

\*\*\*

როდესაც მეორე დილას წასასვლელად გავემზადე, მამაჩემი კედელზე ხელის ფათურით გამოვიდა ზღურბლზე. დედაჩემს და აგნესს მოვეხვიე.

– ერთი კვირა ისე გაირბენს, რომ ვერც შეამჩნევ, – მითხრა დედამ.

მამამ ცხვირსახოცში შეხვეული რაღაც ნივთი მომცა.

– მშობლიურ სახლს მოგაგონებს, – მითხრა, – და შენიანებსაც.

ცხვირსახოცში მისი ყველაზე საყვარელი ფილა იყო გახვეული. შინ უმეტესად ხარვეზიანი ფილები მოჰქონდა, რომლებსაც მოტეხილი ან ირიბად მოჭრილი კიდეები ჰქონდა, ან ისეთები, რომლებზეც გადახურების გამო ნახატი გათხაპნილიყო. მაგრამ ეს ფილა მამამ საგანგებოდ ჩვენთვის დაამზადა. ფილაზე ბიჭის და მასზე უფრო მოზრდილი გოგონას პატარა ფიგურები იყო დახატული. ისინი კი არ თამაშობდნენ (როგორც, ჩვეულებრივ, ხატავენ ხოლმე ამგვარ ფილებზე), არამედ, უბრალოდ, გვერდიგვერდ მიდიოდნენ – ისე, როგორც მე და ფრანსი ვსეირნობდით ხოლმე. როგორც ჩანს, მამამ ამ ფილაზე სწორედ ჩვენ დაგვხატა. ბიჭი ოდნავ წინ უსწრებდა გოგონას, მისკენ მოტრიალებულიყო და რაღაცის თქმას აპირებდა. ცუდლუტი გამომეტყველება და გაჩეჩილი თმა ჰქონდა. გოგონას თავზე კაპორი ისე ეხურა, როგორც მე ვატარებდი (ჩემზე უფროსი გოგონები კაპორის ლენტებს ნიკაპქვეშ ან უკან, კისერზე იკრავდნენ). თეთრი კაპორის ფართო ფარფლები სახეს მიჩრდილავდა ხოლმე და ჩემს გამომეტყველებას ვერავინ ამჩნევდა. კაპორს ყოველთვის ვახამებდი – კარტოფილის ნაფცქვენებთან ერთად ვხარშავდი ხოლმე.

ქუჩას გავყევი. წინსაფარში გახვეული ჩემი ნივთები თან მიმოქონდა. თენდებოდა. მეზობლები ვედროებით წყალს ასხამდნენ პარმალებსა და ქუჩაზე – თავიანთი სახლების წინ – და საგულდაგულოდ რეცხავდნენ მათ. ახლა ეს საქმე აგნესს უნდა ეკისრა. და კიდევ ბევრი რამ უნდა დასწოლოდა კისერზე. ქუჩაში და არხების

მახლობლად თამამისთვის ნაკლები დრო დარჩებოდა. მისი ცხოვრებაც შეიცვლებოდა.

მეზობლები მესალმებოდნენ და ცნობისმოყვარეობით მათვალთვარებდნენ. არც ერთ მათგანს არ უკითხავს, საით მიდიხარო და არც თავაზიანი სიტყვები გაუმეტებია ჩემთვის. ეს სრულიად ზედმეტი იყო – მათ იცოდნენ, რა ხდება ხოლმე ოჯახებში, როდესაც ოჯახის უფროსი შრომის უნარს კარგავს. მოგვიანებით იჭორავებდნენ – პატარა გრიტი ვილაცას მოახლედ დაუდგა, მამამისი ოჯახს ველარ პატრონობსო. თუმცა ჩვენი უბედურება მათ სიამოვნებას როდი ანიჭებდა. შესაძლებელი იყო, იგივე მათაც დამართოდათ.

ამ ქუჩაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში დავდიოდი, მაგრამ ახლა პირველად ვიგრძენი, რომ მამისეული სახლი სამუდამოდ დავტოვე. ქუჩა ჩავიარე. უკვე ვიცოდი, რომ ჩემიანები ველარ მხედავდნენ. ოდნავ გულს მომეშვა. უფრო მტკიცედ მივაბიჯებდი და აქეთ-იქით ვიყურებოდი. გრილი დილა იყო. დელფტს ზენარივით გადაჰფარებოდა რუხი ცა, რომელსაც მალე ზაფხულის მცხუნვარე მზე გაახუნებდა. არხი, რომლის გასწვრივაც მივდიოდი, სარკესავით კრიალებდა და მომწვანო ფერი დაჰკრავდა. როდესაც მზე დააცხუნებს, წყალი ჩამუქდება და ხავსისფერი გახდება.

ფრანსი, აგნესი და მე ხშირად ვსხდებოდით ხოლმე არხის პირას და წყალში კენჭებსა და ჯოხებს ვისროდით. ერთხელ გატეხილი ფილაც ვისროლეთ და წარმოვიდგინეთ, როგორ ეშვებოდა ფსკერზე, თევზების კი არა, ჩვენ მიერ წარმოდგენილი იმ ურჩხულების გვერდით, რომელთაც უამრავი თვალი, ფარფლი, საცეცი და მარწუხი ჰქონდათ. ყველაზე უფრო საინტერესო ურჩხულებს ფრანსი იგონებდა. აგნესი ყველაზე მეტად ფრთხებოდა. მე ყოველთვის ვანყევტინებდი თამაშს – ჩვევად მქონდა, ცხოვრება ფხიზელი თვალთ ალმექვა. ამიტომ არ მეპიტნავებოდა არარსებული ამბების გამოგონება.

არხში ბაზრის მოედნისკენ მხოლოდ რამდენიმე ნავი მიცურავდა. ბაზრობის დღეებში არხში იმდენი ნავია ხოლმე, რომ წყალი არ ჩანს. დღეს კი ერთი ნავით მდინარის თევზი მიჰქონდათ იერონიმეს

ხიდთან გამართული დახლებისკენ, ხოლო მეორე კარჭაპი აგურით იყო დატვირთული და ღრმად იჯდა წყალში. კაცი, რომელიც მას მართავდა, მომესალმა. საპასუხოდ მდუმარედ მივესალმე და თავი დავხარე, რათა სახეზე კაპორის ფარფლები ჩამომფარებოდა.

ხიდი გადავიარე და ბაზრის ფართო მოედნისკენ შევუხვიე, სადაც უკვე უამრავი ადამიანი ირეოდა – ყასაბთა დახლებისკენ ან მეფუნთუშეებისკენ მიიჩქაროდნენ, ან კიდევ შეშა მიჰქონდათ ასანონად. ბევრი ბავშვი მშობლების დავალებით მოსულყო. აქვე იყვნენ ოსტატების მიერ გამოგზავნილი შეგირდები და მსახურები. ქვაფენილზე ცხენების ფლოკების თქარათქური და ურმების ბორბლების ჭრიალი ისმოდა. მარჯვნივ რატუშის მოოქროვილი ფასადი მოჩანდა. ფანჯრების ზემოთ, თალებიდან თეთრი მარმარილოს სახეები დაგვყურებდნენ. მარცხენა მხარეს იდგა ახალი ეკლესია, სადაც თექვსმეტი წლის წინ მომნათლეს. მისი მაღალი ვიწრო სამრეკლო ქვის გალიას მაგონებდა. ერთხელ მამამ იქ აგვიყვანა. არასოდეს დამავინყდება, როგორ გადაიშალა იქიდან დელფტის ხედი. თითოეული პანანინა წითელსახურავიანი ვიწრო სახლი, თითოეული მწვანე არხი და ქალაქის ალაყაფის კარი – ყველაფერი მკაფიოდ მოჩანდა და სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. მამას ვკითხე, ყველა ჰოლანდიური ქალაქი ასეთია თუ არა-მეთქი. მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. არასოდეს ყოფილა სხვა ქალაქში, ჰააგაშიც კი, რომლისგანაც მხოლოდ ორი საათის სავალი გზა გვაშორებდა.

მოედნის ცენტრისკენ გავემართე. აქ ქვები ისე იყო დაგებული, რომ წრეში ჩახატულ რვაქიმიან ვარსკვლავს წარმოქმნიდა. ვარსკვლავის ყოველი ქიმი დელფტის სხვადასხვა რაიონისკენ იყო მიმართული. ეს ვარსკვლავი ქალაქის ცენტრად და ჩემი ცხოვრების ცენტრად წარმომედგინა. როდესაც წამოვიზარდეთ, ფრანსთან და აგნესთან ერთად ხშირად მითამაშია მასზე. ვარსკვლავის რომელიმე ქიმს შევარჩევდით, ვასახელებდით ამა თუ იმ საგანს – წეროს, ეკლესიას, ურიკას, ყვავილს, შემდეგ კი ქიმით მონიშნული მიმართულებით გავრბოდით და ამ საგანს ვეძებდით. ასე გავეცანით თითქმის მთელ დელფტს.

მხოლოდ ერთი მიმართულებით არ წავსულვართ არასოდეს – პაპისტების უზნისკენ, სადაც კათოლიკეები ცხოვრობდნენ. სახლი, რომელშიც უნდა მემსახურა, ათი წუთის სავალზე იყო ჩემი მშობლიური სახლიდან – სწორედ ეს დრო დასჭირდებოდა კარდაღი თხილის ადუღებას, მაგრამ იქ არასოდეს ვყოფილვარ.

არც ერთ კათოლიკეს არ ვიცნობდი. დელფტში მრავლად როდი იყვნენ. ჩვენს ქუჩაზე, ჩვენს მალაზიებში მათ ვერ ნახავდით. კათოლიკეებს თავს არ ვარიდებდით, მაგრამ თვითონ არ გვიკარებდნენ. დელფტის მცხოვრებნი მეტ-ნაკლებად ეგუებოდნენ მათ, იმ პირობით, რომ კათოლიკეები სააშკარაოზე არ გამოიტანდნენ თავიანთ სარწმუნოებას. ღვთისმსახურებას ფარულად ატარებდნენ ისეთ შენობებში, რომლებიც გარეგნულად ეკლესიებს არც კი ჰგავდა.

მამაჩემი კათოლიკეებთან ერთად მუშაობდა და ამბობდა, რომ ისინი ჩვენგან არაფრით განსხვავდებოდნენ. პირიქით, უფრო ხალისიანები იყვნენ. ქეიფი, სიმღერები და ბანქოს თამაში უყვარდათ. მამას თითქოს შურდა კიდევ მათი.

ახლა სწორედ ამ ქიმიტ მონიშნული მიმართულებით გავემუშრე. მოედანი ნელა გადაეჭერი – ფეხები უკან მრჩებოდა. ხიდი გადავიარე და მარცხნივ, აუდე ლანგენდეიკის ქუჩაზე გავუხვიე. არხი ქუჩის გასწვრივ მიიკლაკნებოდა და მას ბაზრის მოედნისგან მიჯნავდა.

მოლენპურტის ქუჩის გადაკვეთაზე, ღია კარის მახლობლად, ძელსკამზე ოთხი გოგონა ჩამომჯდარიყო. სიმალლის მიხედვით ჩარიგებულყვნენ, დაწყებული უფროსით, რომელიც, როგორც ჩანს, აგნესის კბილა იყო, და დამთავრებული ოთხი წლის გოგოცანათი. შუაში მჯდომ ერთ-ერთ გოგონას მუხლზე ათიოდე თვის ჩვილი ეჯდა – ნამოჩიტი ჩვილი, რომელიც, ალბათ, უკვე დაცოცავდა და საცაა, გაივლიდა.

ხუთი ბავშვი! და კიდევ ერთი უნდა გაჩნდეს! უფროსი გოგონა ორსაგდულიან ნიჟარაში საპნის ბუშტებს ბერავდა ხის ღრუ მილაკით, ისეთით, როგორსაც მამა გვიმზადებდა ხოლმე. საპნის ბუშტის გაბერვისას დანარჩენი გოგონები ადგილიდან ხტებოდნენ და მას ხე-